## წარმოსადგენი დოკუმენტები

- პოტენციური ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან (სამეწარმეო სტატუსის შემთხვევაში);
- იურიდიული პირის დამფუძნებლ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (საჭიროების შემთხვევაში);
- წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს იურიდიული პირის დამფუძნებლ(ებ)ის შესაბამისი წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრობას (მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პოტენციური ბენეფიციარი იურიდიული პირის დამფუძნებლების არანაკლებ 50% არის წმო-ს წევრები);
- შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ გაფორმებული წყლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება / შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ გაცემული ცნობა მიწის ნაკვეთის წყალუზრუნველყოფის შესახებ / ცნობა წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრობაზე, რითაც დასტურდება, რომ მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი  წყალუზრუნველყოფილია მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ დაფინანსებული „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში  რეაბილიტირებული სარწყავი სისტემით;
- ამონაწერ(ებ)ი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესახებ, რომელიც არის პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებად რეგისტრირებული ან/და მას მიღებული აქვს სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტის ორგანოსგან იჯარით (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს სააგენტოში განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ 5 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), რომელსაც არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების იპოთეკა);
- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე);
- შესასყიდ ძირითად საშუალებებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ (გარდა მომსახურებისა) პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოის(ებ)ი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე/იმპორტის

შემთხვევაში, ასევე ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი (სასოფლო-სამეურნეო მისაბმელ(ებ)ის თანადაფინანსების მიზნობრიობით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, ინვოისი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოთხოვნილი მისაბმელისთვის საჭირო გამწევი სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ცხენის ძალის შესახებ);

- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს გამწევი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებად რეგისტრაციის/ლიზინგის უფლებით ფლობის ფაქტს, რაც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ცხენის ძალის შესახებ (სასოფლო-სამეურნეო მისაბმელ(ებ)ის თანადაფინანსების მიზნობრიობით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის აუდიტორული დასკვნა, წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ (სასათბურე მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსებისა და ერთწლოვანი ან/და მრავალწლოვანი კულტურების პირველადი წარმოებისთვის აგრომეტეოროლოგიური სადგურ(ებ)ის მოწყობის თანადაფინანსების მიზნობრიობ(ებ)ით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში);
- თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი/ხელშეკრულება საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და სესხის დამტკიცების თაობაზე ან/და უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს პოტენციური ბენეფიციარის მიერ სხვა წყაროდან მიღებულ დაფინანსებას;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტები, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.